# აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**MUNICIPALITY COUNCIL OF ABASHA**

0200 აბაშა, უჩა კაჭარავას ქ. №1 ტელ/ფაქსი 412: 29-19-19


ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №45

აბაშა, 2021 წლის 30 ივლისი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 108-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის” 2021 წლის 26 თებერვლის №2537/1, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 27 აპრილის №15/25068 წერილების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:**

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: ქ. აბაშაში, თამარ მეფის ქუჩა №19-ში მდებარე 57.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №40.01.32.573), გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, შემდგომში მითითებული უძრავი ქონების „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისთვის“ გადაცემის მიზნით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი